



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №21

2012 წლის 9 მარტი  
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის „სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების პროგრამა“-ის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმართელობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის „სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების პროგრამა“ თანახმად დანართისა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (მ. ცეცხლაძე).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიზნობრივი პროგრამა**

1. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების პროგრამა
2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:  
01.01. 012 31.12.2012
3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი  
68600 (სამოცდარვაათას ექვსასი) ლარი
4. პროგრამის დაფინანსების წყაროები  
ა) ძირითადი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 68 600  
ბ) დამატებითი 0
5. პროგრამის (ქვეპროგრამის ) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:  
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა  
დაბა ჩაქვი, ხალას, საჩინოს, ციხისძირის თემი, სოფელ ჩაისუბნი და სოფ. დაგვას (ნაწილობრივ) ტერიტორიული ორგანოები დიდი მანძილით არის დაშორებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან, ამიტომ ჭირს მოსახლეობისათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენა, რისთვისაც აუცილებელი გახდა მიზნობრივი პროგრამით მომსახურების განხორციელება.
7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	დაბა ჩაქვი, ხალას, საჩინოს, ციხისძირის თემში, სოფელ ჩაისუბნის და სოფ. დაგვას ნაწილობრივ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების გაუმჯობესება	მოსახლეობის კმაყოფილების დონე პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების უზრუნველყოფა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება	2012 წელი	2013 წელი	სულ
	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი 68600		0
	დამატებითი			0
	<b>სულ</b>	<b>68 600</b>		<b>68 600</b>

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთი თვის ხარჯი (ლარი)	სულ ხარჯი (ლარი)
2012 წელი					
1	პერსონალის ხელფასი	თვე	10	4200	42000
2	ოფისის ხარჯი (კომუნალური, საკანცელარიო, კავშირგაბმულობის და სხვა საოფისე ხარჯები)	თვე	10	490	4 900
3	სამედიცინო ხარჯი (მედიკამენტები)	თვე	10	570	5 700

4	საწვავის შეძენის ხარჯი	თვე	10	1 600	16 000
	სულ			6 860	68 600
<b>სულ სოციალური უზრუნველყოფა</b>					
III	არაფინანსური აქტივები				

10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვისათვის დაგეგმილი თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურება	2012 წლის პირველი კვარტალი	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	68 600	

**დამატებითი ინფორმაცია**

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება:

I კვარტალი	6 860	II კვარტალი	20580
III კვარტალი	20 580	IV კვარტალი	20580

ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ბენეფიციარების მიერ გამოძახება და შეტყობინება

№	დასახელება	რაოდენობა	თვის ხელფასი კაცზე (ლარი)	თვეში გასაცემი ხელფასი (ლარი)	10 თვის განმავლობაში გასაცემი ხელფასი (ლარი)
1	ექიმი	4	450	1 800	18 000
2	მედა	4	300	1 200	12 000
3	მძალღი	4	265	1 060	10 600
4	სან/დამლაგებელი	1	140	140	1 400
	სულ	13		4 200	42 000